**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**რიგგარეშე სხდომის**

**ოქმი № 4**

ქ. ახმეტა 17 მარტი 2021 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა: თამარ ყეინიშვილი - ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ს ხ დ ო მ ა ს ე ს წ რ ე ბ ო დ ნ ე ნ:

საკრებულოს წევრები: რ. ბაღაკაშვილი, ბ. ჭიჭიკლიშვილი, მ.კოხტაშვილი, ა. შათირიშვილი, ა. ხიზანაიძე, ვ. სუხოშვილი, ა. ბუღრიძე, გ. ხუცურაული, ლ. ითიურიძე, რ. გახუაშვილი, ი. მრელაშვილი, რ. ალხანაშვილი, დ. იმერლიშვილი, თ. ბორჩაშვილი, გ. ხადიშვილი, თ. მოზაიძე, შ. ტერტერაშვილი, თ. ბოდაველი, ვ. დედაბრიშვილი.

სხდომა გაიხსნა 11 $^{00}$ საათზე.

**დღის წესრიგი**

1. **„ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;**

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის მიღება:

სხდომას ესწრება 20 საკრებულოს წევრი.

მომხრე - 18

მონაწილეობა არ მიიღო - 2 (ვალერი დედაბრიშვილმა, შ. ტერტერაშვილმა.)

დღის წესრიგი დამტკიცდა.

მოისმინეს: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

მომხსენებელმა გააცნო პროექტი:

„საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალიწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654-ე დადგენილებით და სხვა სამართლებრივი აქტებით საქართველოს მთავრობამ გადაწყვიტა მიმდინარე 2021 წელს კვლავ გაგრძელდეს „სოფლის მხადაჭერის პროგრამა“ სახელმწიფოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, ახმეტის მუნიციპალიტეტშიც, შესაბამისი სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა დაცვით და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გამოცემული სპეციალური სახელმძღვანელოში აღწერილი პროცედურების მიხედვით, ახმეტის მუნიციპალიტეტის 58 სოფელში, ჩატარდა შესაბამისი საერთო კრება/კონსულტაცია, შედგა შესაბამისი ოქმები და მოსახლეობის გადაწყვეტილებით

შეირჩა სოფლების მიხედვით პრიორიტეტული საპროექტო წინადადებები. საპროექტო წინადადებებს წარმოგიდგენთ დასამტიკიცებლად შესაბამისი ცხრილის სახით, აღნიშნული პროექტების სატენდერო დოკუმენტაციის დროულად მომზადებისათვის, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის N 654-ე დადგენილების 1-ლი მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნის დაცვის მიზნით (პირველ მაისამდე თანხის გაუნაწილებლობის შემთხვევაში დარჩენილი თანხა დაუბრუნდება რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდს) .

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი.**

**სხდომას ესწრება 20 წევრი.**

**მომხრე - 17**

**მონაწილეობა არ მიიღო - 3 (ვალერი დედაბრიშვილმა, შ. ტერტერაშვილმა, თ. ბოდაველმა.)**

**ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება №11: ,,ახმეტის მუნიციპალიტეტის 2021 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;**

**დანართი თან ერთვის ოქმს.**

საკრებულოს სხდომა დაიხურა 12:05 საათზე.

საკრებულოს თავმჯდომარე: თამარ ყეინიშვილი